

მისაილ ბულგაკოვი • ოსტატი და მარგარიტა



მისაილ ბულგაკოვი

ოსტატი და მარბარიტა

რუსულიდან თარგმნა
გივი კიკილაშვილმა



გაქურსულაპურის
გამომცემლობა

შინაარსი

პირველი ნაწილი	9
თავი 1. უცნობს ნურასოდეს გაუბამ საუბარს	11
თავი 2. პილატე პონტოელი	26
თავი 3. მეშვიდე დამამტკიცებელი საბუთი.....	53
თავი 4. დევნა.....	59
თავი 5. ეს მოხდა გრიბოედოვში	68
თავი 6. შიზოფრენია, როგორც უკვე ითქვა.....	82
თავი 7. ნავსი ბინა.....	92
თავი 8. პროფესორისა და პოეტის ორთაბრძოლა	104
თავი 9. კოროვიევის ოინები.....	115
თავი 10. ცნობები იალტიდან	126
თავი 11. ივანის გაორება	139
თავი 12. შავი მაგია და მისი მხილება.....	144
თავი 13. გმირის გამოცხადება	161
თავი 14. დიდება მამალს!.....	183
თავი 15. ნიკანორ ივანოვიჩის სიზმარი	193
თავი 16. ძელზე გაკვრა	208
თავი 17. შფოთიანი დღე	222
თავი 18. უიღბლო სტუმრები.....	237
მეორე ნაწილი	261
თავი 19. მარგარიტა	263
თავი 20. აზაზელოს მალამო.....	279
თავი 21. გაფრენა	285

თავი 22. სანთლის შუქზე	301
თავი 23. სატანის დიდი მეჯლისი.....	317
თავი 24. ოსტატის გამოსხნა.....	335
თავი 25. როგორ ცდილობდა პროკურატორი იუდა კირიათელის გადარჩენას	363
თავი 26. დაკრძალვა	376
თავი 27. №50 ბინის აღსასრული.....	401
თავი 28. კოროვიევისა და ბეჰემოთის უკანასკნელი თავგადასავალი	420
თავი 29. ოსტატისა და მარგარიტას ბედი გადანწყდა	436
თავი 30. დროა! დროა!	442
თავი 31. ვორობიოვოს ბორცვებზე.....	456
თავი 32. შენდობა და სამარადისო სამყოფელი.....	460
ეპილოგი	467
გოლოსიტყვაობა.....	482
მთარბმნელისბან	501
ბანმარტივები.....	503

...კარგი, ვინა ხარ, მაშ, შენ, ნეტავი?
– მე ვარ ნაწილი იმ დიად ძალის,
ვისაც ავი სურს და კეთილს სჩადის.
გოეთე, „ფაუსტი“

პირველი ნაწილი

თავი 1

უცნობს ნურასოდეს გაუგამ საუბარს¹

გაზაფხულის ერთ მცხუნვარე დღეს, სალამო ხანს, პატრიარქის ტბორებს² ორი მოქალაქე ეწვია. პირველს, ორმოციოდე წლის კაცს, ნაცრისფერი საზაფხულო კოსტიუმი ეცვა, ტანმორჩილი იყო, შავთმიანი, ჩასუქებული, გამელოტებული. ახალი, ჩატეხილი შლაპა ხელში ეჭირა, ნვერი საგულდაგულოდ ჰქონდა გაპარსული, შავი რქისჩარჩოიანი ვეებერთელა სათვალე ეკეთა. მეორეს, მხარბეჭიან, თმააბურძგნილ, მონითურო ახალგაზრდა კაცს კუბოკრული კეპი კეფაზე მოეგდო, კოვბოურა, დაჭმუჭნილი თეთრი შარვალი და შავი ჩუსტები ეცვა.

პირველი გახლდათ მიხაილ ალექსანდროვიჩ ბერლიოზი, სქელტანიანი მხატვრული ჟურნალის რედაქტორი და გამგეობის თავმჯდომარე მოსკოვის ერთ-ერთი უდიდესი ლიტერატურული ასოციაციისა, შემოკლებით „მასოლიტი“³ რომ ერქვა, მისი ახალგაზრდა თანამგზავრი კი – პოეტი ივან ნიკოლაევიჩ პონირევი, ფსევდონიმად ბეზდომნი⁴ რომ ჰქონდა.

მწერლებმა ახლად ამწვანებული ცაცხვების ჩრდილს თავი შეაფარეს თუ არა, მაშინვე ნაირფერად აჭრელებული ჯიხურისკენ გაექანენ, რომლის თავზე მოჩანდა წარწერა: „ლუდი და წყლები“.

უნდა აღვნიშნოთ მაისის ამ საშინელი სალამოს პირველი უცნაურობა: მარტო ჯიხურთან კი არა, მთელ ხეივანში, მალაია ბრონნიას ქუჩის გასწვრივ, კაციშვილი არ ჭაჭანებდა. მზე მთელი დღე მოსკოვს აღმურს უნთებდა, ახლა კი გაფიცებულ ბურუსში გახვეული, დასა-

ვლეთისკენ მიექანებოდა და, სადაცაა, სადღაც სადოვოე კოლცოს იქით ჩავსვენებოდა. მაგრამ ამ პაპანაქება სიცხეში, როცა კაცს სულის მოთქმაც კი უჭირდა, ცაცხვებთან არავინ მისულა, სკამზე არავინ ჩამომჯდარა, უკაცრიელი იყო ხეივანი.

– ნარზანი დაგვისხით, – სთხოვა ქალს ბერლიოზმა.

– ნარზანი არა გვაქვს, – უპასუხა რატომღაც განანყენებულმა ქალმა.

– ლუდი გაქვთ? – ჩახლეჩილი ხმით ჰკითხა ბებდომნიმ.

– ლუდს საღამოთი მოიტანენ, – უპასუხა ქალმა.

– მაშ რა გაქვთ? – ჰკითხა ბერლიოზმა.

– გარგარის წვენი, ოღონდ თბილია, – თქვა ქალმა.

– კარგი, დაგვისხით, დაგვისხით!

გარგარის წვენმა ყვითელი ქაფი ბლომად მოიგდო და ჰაერი საპარიკმახეროს სუნით გაიჟლინთა. ლიტერატორებმა წვენი დალიეს და მაშინვე სლოკინი აუტყდათ. მერე ფული გადაიხადეს, სკამზე ბრონნაისკენ ზურგმექცევით ჩამოსხდნენ და მზერა ტბორს მიაპყრეს.

ამ დროს მეორე უცნაურობა მოხდა. ეს კი მხოლოდ ბერლიოზს ეწვია. სლოკინი უცაბედად შეუწყდა, გული შეეკუმშა, ერთ წამს ჩასწყდა, მერე მოუბრუნდა, მაგრამ ისე ჩხვლეტდა, თითქოს ბლაგვი ნემსი გაუყარესო. ამას გარდა, უსაფუძვლო, მაგრამ ისეთი უსაზღვრო შიში დაეუფლა, რომ უნდოდა, პატრიარქის ტბორებს მაშინვე უკანმოუხედავად გასცლოდა.

ბერლიოზმა მწუხარედ მიმოიხედა, ვერ მიმხვდარიყო, რამ შეაშინა. გაფითრდა, შუბლი ცხვირსახოცით შეიმშრალა და გაიფიქრა: „რა მემართება? ასეთი რამ არასოდეს მომსვლია... გული ვერა მაქვს კარგად... ალბათ გადავიღალე, ჯოზს, კისლოვოდსკისკენ გავეშურო, ემმაკსაც ნაულია ყველაფერი...“

ამ დროს გაფიცებული ჰაერი მის წინ შედედდა და უცნაური გარეგნობის გამჭვირვალე მოქალაქე გამოიძერწა. მოქალაქეს პატარა თავზე ჟოკეის კარტუზი ეხურა, მოკლე და ვიწრო, კუბოკრული, ქარქატინა პიჯაკი ეცვა... სიმაღლით საჟენს აღარა უკლდა რა, მაგრამ ვიწრომხრებიანი და უზომოდ გამხდარი იყო, თანაც, უნდა მოგახსენოთ, დამცინავი სახე ჰქონდა.

ბერლიოზი ისე ცხოვრობდა, უცნაურ მოვლენებს მიჩვეული არ გახლდათ. უფრო მეტად გაფითრდა, თვალები დაჭყიტა და შეძრწუნებულმა გაიფიქრა: „ეს შეუძლებელია!“

მაგრამ, ვაი რომ, ეს ნამდვილად იყო... ანონილი, გამჭვირვალე მოქალაქე მის წინ აქეთ-იქით ქანაობდა, მინას ფეხს არ აკარებდა.

ბერლიოზი შიშმა ისე აიტანა, თვალები დახუჭა. როცა გაახილა, მოჩვენება უკვე გამქრალიყო. კუბოკრულპიჯაკიანი აღარსად ჩანდა და ბლაგვი ნემსიც გულიდან მოსცილდა.

– ფუ ეშმაკს! – შესძახა რედაქტორმა, – იცი, ივან, ახლა სიცხისგან კინალამ სისხლი ჩამექცა! თითქოს ჰალუცინაციაც მქონდა... – გაცი-ნება სცადა, მაგრამ თვალეებს ისევ შეშინებული აცეცებდა და ხელები უკანკალებდა. მერე თანდათან დამშვიდდა, ცხვირსახოცის ქნევით სახე გაიგრილა. საკმაოდ მხნედ თქვა: „მამ ასე...“ და გარგარის წვეწის სმისას შეწყვეტილი საუბარი განაგრძო.

როგორც შემდეგ შეიტყვეს, ისინი იესო ქრისტეზე საუბრობდნენ. საქმე ის იყო, რომ რედაქტორმა პოეტს ჟურნალის მორიგი ნომრისთვის დიდი ანტირელიგიური პოემა⁵ დაუკვეთა. ივან ნიკოლაევიჩმა პოემა დაწერა, თანაც ძალზე მოკლე ვადაში, მაგრამ, სამწუხაროდ, მისმა ნამუშევარმა რედაქტორი ვერ დააკმაყოფილა. ბეზდომნიმ პოემის მთავარი მოქმედი პირი, ანუ იესო, ძალზე მუქი ფერებით დახატა, და მაინც მთელი პოემა, რედაქტორის აზრით, ხელახლა იყო დასაწერი. ჰოდა, რედაქტორი პოეტს ახლა იესოზე რაღაც ლექციის მსგავსს უკითხავდა, რათა პოეტის მთავარი შეცდომისთვის ხაზი გაესვა.

ძნელი სათქმელია, ივან ნიკოლაევიჩს მაინც რა დაემართა, წარმოსახვის უნარმა უმტყუნა, თუ სრულებით არ იცნობდა იმ საკითხს, რაზედაც წერდა. მაგრამ იესო გამოუვიდა მთლად ცოცხალი, ოდეს-ღაც არსებული, ოღონდ ყოველგვარი უარყოფითი თვისებებით აღჭურვილი.

ბერლიოზს კი სურდა, პოეტისთვის დაემტკიცებინა, რომ მთავარი ის კი არ არის, იესო როგორი იყო, ცუდი თუ კარგი, არამედ ის, რომ იესო, როგორც პიროვნება, ამქვეყნად საერთოდ არ არსებობდა და მისი ამბავი მოგონილი, ჩვეულებრივი მითი იყო.

უნდა მოგახსენოთ, რომ რედაქტორი ნაკითხი კაცი გახლდათ და ძალზე მარჯვედ იშველიებდა ძველ ისტორიკოსებს, მაგალითად, სახელგანთქმულ ფილონ ალექსანდრიელს⁶, დიდად განათლებულ იოსებ ფლავიუსს⁷, რომელთაც ერთი სიტყვაც არა აქვთ ნათქვამი იესოს თაობაზე. მიხაილ ალექსანდროვიჩმა დიდი ერუდიცია გამოამჟღავნა და პოეტს, სხვათა შორის, ისიც აუწყა, ტაციტუსის⁸ სახელგანთქმული „ანალების“ მეთხუთმეტე წიგნის ორმოცდამეოთხე თავში ის ადგილი, სადაც იესოს სიკვდილით დასჯაზეა ლაპარაკი, შემდგომი ყალბი ჩანართიაო.

პოეტისთვის რედაქტორის ნაამბობი მთლად ახალი ხილი იყო. მკვირცხლი, მწვანე თვალები მიხაილ ალექსანდროვიჩისთვის მიეშტერებინა და ყურადღებით უსმენდა, მხოლოდ ხანდახან ასლოკინებდა და გარგარის წვეს ჩურჩულით ავინებდა.

– არ არსებობს არც ერთი აღმოსავლური რელიგია, – ამბობდა ბერლიოზი, – უბინო ქალწულს ღმერთი რომ არ ეშვას. არც ქრისტიანებს გამოუგონიათ რაიმე ახალი, ზუსტად ასევე შექმნეს თავიანთი იესო, ვინც სინამდვილეში ქვეყნად არასოდეს ყოფილა. უმთავრესად, აი, ამას უნდა წარმოჩენა...

ბერლიოზის მაღალი ტენორი უკაცრიელ ხეივანს ეფინებოდა. იგი წარსულში ძალზე ღრმად შეიჭრა. ამას დიდად განათლებული კაცი თუ შეძლებს ისე, რომ კისრის მოტეხის შიში არა ჰქონდეს. პოეტმა ბევრი საინტერესო და სასარგებლო რამ შეიტყო ცისა და მიწის შვილის, კეთილისმყოფელი ღმერთის, ეგვიპტელი ოზირისის⁹, ფინიკიელთა ღმერთის, თამუზის¹⁰, მარდუქის¹¹ და ნაკლებ ცნობილი მრისხანე ღმერთის, ვიცლიპუცლის¹² შესახებაც კი, რომელსაც ერთ დროს თავყვანს სცემდნენ მექსიკელი აცტეკები.

სწორედ იმ დროს, როცა მიხაილ ალექსანდროვიჩი პოეტს უყვებოდა, აცტეკები ცომისგან როგორ ძერწავდნენ ვიცლიპუცლის ფიგურას, ხეივანში პირველი კაცი გამოჩნდა.

შემდგომში, როცა, გულახდილად რომ ვთქვათ, გვიანლა იყო, სხვადასხვა დაწესებულებებმა ცნობები წარმოადგინეს, სადაც ამ კაცის გარეგნობას აღწერდნენ. შეუძლებელია, ამ ცნობათა შედარებამ გაცემა არ გამოიწვიოს: პირველი ცნობა იუწყებოდა, რომ იგი ტანმო-

რჩილი იყო, ოქროს კბილები ჰქონდა და მარჯვენა ფეხით კოჭლობდა. მეორე ცნობა ამბობდა, გოლიათური აღნაგობა და პლატინის კბილები ჰქონდა, თანაც მარცხენა ფეხით კოჭლობდაო. მესამეში მოკლედ ეწერა, განსაკუთრებული ნიშნები არ ჰქონიაო.

უნდა ვაღიაროთ, რომ არც ერთი ცნობა არ ვარგოდა.

უპირველეს ყოვლისა: აღწერილი კაცი არც ერთი ფეხით არ კოჭლობდა, არც ტანმორჩილი იყო და არც გოლიათი, უბრალოდ, მაღალი გახლდათ. კბილები კი მარცხნივ პლატინისა ჰქონდა, მარჯვნივ – ოქროსი. ძვირფასი ნაცრისფერი კოსტიუმი და კოსტიუმის ფერივე უცხოური ფეხსაცმელი ეცვა. ნაცრისფერი ბერეტი ყურთან მოხდენილად ჩაეკეცა, ილლიაში შავბუნიკიანი ჯოხი ამოეჩარა. ბუნიკზე პუდელის თავი იყო გამოსახული. შესახედად ორმოც ნელს იქნებოდა გადაცილებული. პირი როგორღაც გვერდზე მოჰქცეოდა. ნვერი სუფთად გაეპარსა. შავგვრემანი იყო. მარჯვენა თვალი შავი ჰქონდა, მარცხენა – რატომღაც მწვანე. შავი ნარბები ჰქონდა, მაგრამ ერთი ნარბი მეორეზე მაღლა ედგა. მოკლედ, უცხოელი¹³ იყო.

როცა უცხოელმა იმ სკამს ჩაუარა, სადაც რედაქტორი და პოეტი ისხდნენ, მოსაუბრეებს აღმაცერად გადახედა, შეჩერდა და ორი ნაბიჯის იქით, მეზობელ სკამზე ჩამოჯდა.

„გერმანელია...“ – გაიფიქრა ბერლიოზმა.

„ინგლისელია, – გაიფიქრა ბებდომნიმ, – ნეტავ, ამ სიცხეში ხელთათმანები არ აწუხებს?“

უცხოელმა კი მაღალი სახლები შეათვალიერა, ტბორს ოთხკუთხივ რომ ჰქონდა შემორტყმული. ეტყობოდა, ამ ადგილს პირველად ხედავდა და დაინტერესდა. თვალი შეაჩერა ზედა სართულთა მინებზე, სადაც თვალისმომჭრელად ირეკლებოდა გადატეხილი და მიხაილ ალექსანდროვიჩისათვის სამუდამოდ ჩამავალი მზე. მერე მზერა ქვედა სართულებს ჩააყოლა, სადაც მინები სალამოსპირზე ჩამუქებულიყო, მონყალედ ჩაიცინა, თვალეები მოჭუტა, ხელეები ბუნიკს ჩასჭიდა და ნიკაპი ხელეებს დააყრდნო.

– ივან, – ამბობდა ბერლიოზი, – შენ კარგად და სატირულად აღწერე, მაგალითად, ღვთის ძის, იესოს შობა, მაგრამ საქმე ის არის, რომ იესომდეც მრავლად იშვნენ ძენი ღვთისანი, ვთქვათ, ფინიკიელთა

ადონისი¹⁴, ფრიგიელთა ატიისი¹⁵, სპარსელთა მითრა¹⁶. მოკლედ, არც არავინ შობილა და არც არავინ ყოფილა. არც იესო ყოფილა. ამიტომ აუცილებელია, რომ ნაცვლად შობისა, ანდა, ვთქვათ, ნაცვლად მოგვთა¹⁷ მოსვლისა, აღწერო უთავბოლო ქორები მათ მოსვლაზე. თორემ შენი მონათხრობის მიხედვით გამოდის, რომ იგი ნამდვილად დაბადებულა!

ბეზდომნიმ სცადა, მომაბეზრებელი სლოკინი როგორმე მოეცილებინა, სუნთქვა შეაჩერა და ამის გამო უფრო მწარედ დაასლოკინა. ამ დროს ბერლიოზმაც შეწყვიტა ლაპარაკი, რადგან უცხოელი უცებ წამოდგა და მწერლებისკენ გამოემართა. მათ გაოცებით შეხედეს მომავალს.

– გთხოვთ, მომიტევეთ, – თქვა მოსულმა უცხოური აქცენტით, მაგრამ სიტყვები არ დაუმახინჯებია, – თუმცა უცნობი ვარ, მაგრამ თავს ნებას ვაძლევ... თქვენი მეცნიერული საუბრის თემა ისეთი საინტერესოა, რომ...

მან ბერეტი ზრდილობიანად მოიხადა. მეგობრებსაც სხვა რაღა დარჩენოდათ, უნდა წამომდგარიყვნენ და მისალმებოდნენ.

„არა, უფრო ფრანგი უნდა იყოს...“ – გაიფიქრა ბერლიოზმა.

„პოლონელია?..“ – გაიფიქრა ბეზდომნიმ.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ პოეტს უცხოელი პირველი შეხედვისთანავე შესძაგდა. ბერლიოზს კი მოეწონა, ანუ, მოეწონა კი არა, ასე ვთქვათ, ინტერესი აღეძრა...

– ნებას მომცემთ, ჩამოვჯდე? – ზრდილობიანად იკითხა უცხოელმა და მეგობრებმაც უნებურად გაინ-გამოინიეს.

უცხოელი მათ შორის მოხერხებულად მოკალათდა და მაშინვე საუბარი გააბა:

– თუ არ მომეჩვენა, თქვენ, მგონი, თქვით, იესო ამქვეყნად არ ყოფილაო? – ჰკითხა მან ბერლიოზს და მარცხენა მწვანე თვალი მიაპყრო.

– არა, არ მოგჩვენებიათ, – თავაზიანად უპასუხა ბერლიოზმა, – სწორედ ამას ვამბობდი.

– ოჰ, რა საინტერესოა! – შესძახა უცხოელმა.

„რა ჯანდაბა უნდა?“ – გაიფიქრა ბეზდომნიმ და მოიღუმა.

– თქვენ კი ეთანხმებოდით, არა? – მიუბრუნდა უცნობი ბებდომნის.

– მთელი სულითა და გულით! – უპასუხა ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკის მოყვარულმა ბებდომნიმ.

– საოცარია! – შესძახა დაუპატიჟებელმა მოსაუბრემ, რატომღაც ქურდულად მიმოიხედა, ხმა დაიდაბლა და ისე თქვა: – მაპატიეთ, ასე რომ შემოგიჩნდით, მაგრამ, მგონი, თქვენ არც ღმერთი უნდა გნამდეთ, – მერე თვალები თითქოს შეშინებულმა დააცეცა და დაუმატა: – გეფიცებით, არავის ვეტყვი!

– დიახ, ჩვენ ღმერთი არ გვნამს, – უპასუხა ბერლიოზმა, უცხოელი ტურისტის შეკრთომამ ოდნავი ღიმილი მოჰგვარა, – მაგრამ ამის თქმა თავისუფლად შეიძლება.

უცხოელი სკამის საზურგეს მიეყრდნო, ცნობისმოყვარეობისგან ოდნავ შეჰყვირა კიდევაც და ჰკითხა:

– თქვენ ათეისტები ხართ?

– დიახ, ათეისტები ვართ, – ღიმილით უპასუხა ბერლიოზმა.

გაბრაზებულმა ბებდომნიმ კი გაიფიქრა: „რას გადაგვეკიდა ეს გადამთიელი!“

– დიდებულია! – შესძახა გაცეცხულმა უცხოელმა. თავს აქეთ-იქით ატრიალებდა, ხან ერთ ლიტერატორს შესცქეროდა, ხან – მეორეს.

– ჩვენს ქვეყანაში ათეიზმი არავის აოცებს, – დიპლომატიური თავაზიანობით უთხრა ბერლიოზმა, – ჩვენი მოსახლეობის უმეტესობა ღმერთზე მოჩმასულ ზღაპრებს, დიდი ხანია, შეგნებულად აღარ იჯერებს.

ამ დროს უცხოელმა ასეთ ოინს მიმართა: წამოდგა, გაცეცხულ რედაქტორს ხელი ჩამოართვა და წარმოთქვა:

– ნება მიბოძეთ, უღრმესი მადლობა მოგახსენოთ!

– მადლობას რაზე უხდით? – თვალების ხამხამით ჰკითხა ბებდომნიმ.

– ძალზე მნიშვნელოვანი ცნობისთვის, რაც ჩემისთანა მოგზაურს განსაკუთრებით აინტერესებს, – თქვა ახირებულმა უცხოელმა და თითი მრავალმნიშვნელოვნად ასწია.

მნიშვნელოვანმა ცნობამ მოგზაურზე მართლაც ძლიერი შთა-

ბეჭდილება მოახდინა, დამფრთხალი თვალეები სახლებს მოავლო, თითქოს ეშინოდა, რომ ყოველ ფანჯარაში ათეისტს დაინახავდა.

„არა, ინგლისელი არ არის“, – გაიფიქრა ბერლიოზმა.

ბეზდომნიმ კი გაიფიქრა, ნეტავ, რუსულში ასე სად გაიწაფაო, და ისევ მოიღუშა.

უცხოელი სტუმარი ერთხანს რალაცას მოუსვენრად ფიქრობდა და მერე თქვა:

– ნება მიბოძეთ, გკითხოთ, რას იტყვით ღმერთის არსებობის დამამტკიცებელ საბუთებზე¹⁸, რაც, როგორც მოგეხსენებათ, ზუსტად ხუთია?

– ვაი რომ, არც ერთ დამამტკიცებელ საბუთს ფასი არა აქვს და ისინი კაცობრიობამ, დიდი ხანია, არქივს ჩააბარა, – სიბრალულით უპასუხა ბერლიოზმა, – ალბათ დამეთანხმებით, რომ გონიერების თვალსაზრისით ღმერთის არსებობის არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არ შეიძლება არსებობდეს.

– ბრავო! – შესძახა უცხოელმა, – ბრავო! თქვენ მთლიანად გაიმეორეთ მოუსვენარი მოხუცის, იმანუელის აზრი ამ საკითხზე. მაგრამ კუროზი ის არის, რომ მან ხუთივე საბუთი ძირფესვიანად გაანადგურა და შემდეგ, თითქოს საკუთარ თავს დასცინისო, მეექვსე დამამტკიცებელი საბუთი¹⁹ შექმნა.

– კანტის საბუთიც ასევე არ არის დამაჯერებელი, – თავაზიანი ღიმილით შეედავა განათლებული რედაქტორი, – ტყუილად კი არ ამბობდა შილერი, კანტის მსჯელობა ამ საკითხზე მხოლოდ მონებს დააკმაყოფილებსო, შტრაუსს²⁰ კი ამ საბუთზე, უბრალოდ, ეცინებოდა.

ბერლიოზი ლაპარაკობდა და თან გულში ფიქრობდა: მაინც ვინ უნდა იყოს ეს კაცი, რუსულად ასე კარგად რატომ ლაპარაკობსო?

– უნდა დაიჭირო ის კანტი და ასეთი საბუთების გულისთვის სამი წლით თავი სოლოვკიში²¹ უკრა! – სრულიად მოულოდნელად წამოიძახა ივან ნიკოლაევიჩმა.

– ივან! – გადაუჩურჩულა შეცბუნებულმა ბერლიოზმა.

მაგრამ კანტის სოლოვკიში გასტუმრების განზრახვამ უცხოელი კი არ განაცვიფრა, აღაფრთოვანა კიდევაც.